



გადაგზრენი ფრინველები



gobatumi.com

gobatumi.com

აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
მის: ფარნავაზ მეფის ქ. 84/86
ბათუმი, საქართველო
ტელ: 0422 27 47 02
ელ-ფოსტა: INFO@GOBATUMI.COM
ვებ-გვერდი: WWW.GOBATUMI.COM

2018 წელი. III კვარტალი

ფრინველებზე დაკვირვება

BIRDWATCHING

აჭარაში ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალი ყოველი წლის სექტემბერში იმართება. მტაცებელ ფრინველებზე დასაკვირვებლად, რეგიონს უცხოელი ექსპერტები, მოხალისეები და ტურისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია გასვლითი ექსკურსიები, თემატური სემინარები და სამუშაო შეხვედრები. ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმი, რომელიც ეკოტურიზმის ერთ-ერთ პოპულარულ მიმართულებად იქცა, აჭარაში უდიდეს პოტენციალს ფლობს. შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ, ბათუმის შემოგარენი, „აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფნის“ სახელითაა ცნობილი, სადაც ყოველწლიურად 1 000 000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. შედეგად, აჭარა მსოფლიოში მტაცებელ ფრინველთა მიგრაციის ერთ-ერთ უდიდეს კორიდორად ითვლება და ის, მსოფლიოში მესამე ადგილზეა, რის გამოც რეგიონი ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ ტურისტსა და ამ დარგით დაინტერესებულ მეცნიერს იზიდავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

ფესტივალი აჭარაში 2012 წლიდან ტარდება და ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და გადამფრენ, მტაცებელ ფრინველთა კონსერვაციას. ფესტივალი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით იმართება.

ბერდვოჩინგი ინგლისური სიტყვაა და ფრინველებზე დაკვირვებას ან თვალთვალს ნიშნავს. ბერდვოჩინგებს იზიდავს ის ადგილები, სადაც ფრინველთა დიდი მრავალფეროვნებაა და მათ შორის ენდემური და იშვიათი ფრინველებიც. დაკვირვება ძირითადად ხდება ჩვეულებრივი (რეკომენდირებულია 7x) და სამფეხაზე დამაგრებული ტოვრით.



ფრინველები გადაფრენისას სამიგრაციო გზებს მიჰყვებიან, ამ გზებს სხვანაირად დერეფნებსაც უწოდებენ, ფრინველების სამიგრაციო გზებისაქართველოშიც გადის, ერთ-ერთი ასეთი გზა შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გადის. ეს უმნიშვნელოვანესი გზებია ასი ათასობით ფრინველისათვის. ჩრდილოეთიდან გადმოფრენილ ფრინველებს წინ კავკასიონის მაღალი ქედი ეღობებათ, აქვეა შავი ზღვაც. ღია ზღვაში და მაღალ მთებში ფრენა ფრინველებსაც უჭირთ, რადგან ხანგრძლივი ფრენის დროს დასასვენებელ ადგილებს ვერ პოულობენ. ამ დროს შავი ზღვის სანაპიროს ვიწრო გასასვლელია, სადაც გადამფრენი ფრინველები თავს იყრიან, ისვენებენ და საკვების მარაგს ივსებენ. ამ გზას ყოველწლიურად გადაიფრენს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალი უამრავი ფრინველი. საქართველოში გადაფრენისას ფრინველები ჩერდებიან კოლხეთის ტაობებში ჩერდებიან. მეორე სამიგრაციო გზა ჯავახეთის ზეგანზე გადის. ჯავახეთის ტბები ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ადგილებია. აქ ისეთ ფრინველებსაც შეხვდებით, რომლებიც გადაშენების პირას არიან. გადამფრენ ფრინველველთა სამიგრაციო გზებზე აუცილებლად უნდა იყოს ტაობები, ტბები და ზღვის სანაპირო, სადაც ისინი შეძლებენ შესვენებას და საკვების მოპოვებას. გადამფრენი ფრინველების დასვენების და გამომამთრების ადგილების განადგურება, მაგალითად, ტაობების დაშრობა დიდ საფრთხეს უქმნის ფრინველებს. გადამფრენი ფრინველები შორს მანძილზე დაფრინავენ. ფრინველებზე დაკვირვება ძალიან მნიშვნელოვანია.




გადამფრენი ფრინველები ძირითადად რუსეთის ტყეებიდან და ყაზახეთიდან მოფრინავენ. ისინი საქართველოს და ისრაელის გავლით საჭარას უდაბნოს სამხრეთ რეგიონებისკენ მიემართებიან.

შავი ზღვა-კავკასიის ზღვისპირეთი სანაპირო გადასაფრენი გზა მიემართება ქერჩის სრუტიდან შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაპირის გაყოლებით, გაივლის საქართველოს მთელ ზღვისპირეთს და გრძელდება მცირე აზიის, ეგვიპტისა და აფრიკისაკენ.

შავი ზღვის სანაპიროს 5-10 კმ-ის სიგანის დაბლობის ზოლი, ზოგჯერ 25 კმ-მდე ფართოვდება. ამ გზაზე მოძრაობენ გადამფრენ ფრინველთა გუნდები. აქედან სხვადასხვა მიმართულებით განშტოვდება ცალკეული მეორეხარისხოვანი გზები.

მეორე საჭაერო გზა მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე, იგი იწყება ქალაქ ვლადიკავკაზის მხრიდან მდინარე თერგის დინების გასწვრივ, გადადის ჯვრისა და გუდაურის უღელტეხილებზე, მიემართება თეთრი და შავი არაგვით, ჩადის მდინარე მტკვარზე და მიჰყვება ამ მდინარის დინებას სამხრეთ-აღმოსავლეთით.





ბათუმის სამიგრაციო დერეფანი (ანუ ძაბრი) საქართველოში

შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ ბათუმის შემოგარენი და ქობულეთი მუნიციპალიტეტის სოფლები, მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო და მრავალრიცხოვანი დერეფანია, სადაც ყოველწლიურად 800,000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. სწორედ, ამ ფაქტის გამო აღნიშნული ადგილები მსოფლიოში ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვების მოცულობით მესამეა. იგი ცნობილია „აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფნის“ სახელით და როგორც აღვნიშნეთ, გადამფრენ ფრინველებს ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკისკენ მიუძღვის.

საყოველთაოდ ცნობილი „ბათუმის სამიგრაციო ძაბრი“ ჰიბრალტართან, მესინა-სიცილიასთან და ბოსფორთან ერთად ევროპის ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად მოიხსენიება. ასეთ ადგილებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგის, ბუნების დაცვითი სამუშაოებისა და სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით.

ბათუმის „ძაბრი“ საშემოდგომო გადაფრენისას შემდეგნაირად იქმნება: მას შემდეგ, რაც მტაცებლები გადმოლახავენ დიდი კავკასიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებს (ამ დროს მათი სამიგრაციო გზები ძირითადად დაბალ უღელტეხილებზე გადის), ეშვებიან კოლხეთის დაბლობზე. ენერჯის დაზოგვის მიზნით ერიდებიან შავი ზღვის ზედაპირს, ლიხის (სურამის) და მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედებს. ამის შედეგად ძალაუნებურად მათი უმეტესი ნაწილი თავს იყრის ბათუმის მიდამოებში. შემდეგ გადაკვეთენ საქართველო-თურქეთის საზღვარს და თანდათან ისევ დაცილდებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ მტაცებლების დიდი რაოდენობა დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილსაც გადმოლახავს, აღმოსავლეთ საქართველოში წყლის ფართო

ზედაპირის არ არსებობისა და უფრო მოზაიკური მთა-გორიანი ლანდშაფტის გამო გადაფრენა რამდენიმე გზით მიმდინარეობს და ამიტომ ამ ადგილებში ისეთი დიდი მასშტაბის „ძაბრი“ არ იქმნება, როგორც ბათუმთან.

2008 წელი ბერდვოჩერთათვის სიურპრიზს წარმოადგენდა. აღმოსავლეთ შავი ზღვის ფრინველთა მიგრაციის ამ დერეფანში 806,679 მტაცებელი ფრინველი დაფიქსირდა, რაც არცერთ სხვა დასავლეთ პალეარტიკის ოლქში არ დაფიქსირებულა. ხოლო 2009 წლის დათვლამ, რომლის დროსაც 851,491 გადამფრენი ფრინველი აღირიცხა, საბოლოოდ დაადასტურა ამ დერეფნის მნიშვნელობა. გადამფრენი ფრინველების საკმაოდ დიდი ნაწილი მოფრინავს ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპიდან, დასავლეთ კავკასიიდან და დასავლეთ რუსეთიდან. ესენია: კრაზანაჭამია, ძერა, მცირე მყივანა არწივი და ჩია არწივი.


ბერდვოჩინგის ყველა მოყვარულს თან აქვთ ფრინველთა ამოცნობის სპეციალური სახელმძღვანელო, რაც ბერდვოჩერს ეხმარება შორი მანძილიდან ფრინველთა სახეობების ამოცნობაში. არსებობს ფრინველთა ფართო სარკვევი. ხოლო ზოგიერთი სამიგრაციო ადგილებისათვის არსებობს ფრინველთა ლოკალური სარკვევი, რომელსაც ახლავს ადგილობრივი რუკა და უფრო დეტალური ინფორმაცია.

საქართველოში 360 სახეობაზე მეტ ფრინველისა და მათ შორის საფრთხის ქვეშ მყოფი ფრინველთა 20-მდე სახეობის ნახვის შესაძლებლობა უფრო მაღალია, ვიდრე ევროპაში, სადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ამ იშვიათი სახეობის ფრინველთა ნახვის შესაძლებლობა.



დედამიწაზე არსებული მტაცებელი ფრინველების 62%-ზე მეტი ახორციელებს სემონურ გადაფრენას ანუ მიგრაციას. ფრინველების საზამთრო და საბუდარ ადგილებს შორის მიმოფრენის უმთავრესი მიზეზია ზამთარში ჩრდილოეთში საკვების ნაკლებობა, ხოლო ზაფხულში საკვების სიჭარბე და გადაფრენის თანდაყოლილი ჩვევა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გადაფრენის ერთ სემონზე ისეთი ფრინველების რაოდენობა, როგორცაა: ძერა, ჭაობის ძელქორი, მდელოსა და ველის ძელქორი. ამჟამად რეგისტრირებულია მტაცებელი ფრინველის 34 სახეობა. კვლევას საერთაშორისო პროექტი Batumi Raptor Count (BRC) აწარმოებს.



აჭარის სოფლები - სახალვაშო, მახინჯაური, შუამთა - საუკეთესო ადგილებია იმათთვის, ვინც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ინტერესებს მტაცებელი ფრინველების ეკოლოგიისა და მიგრაციის შესახებ. შემოდგომის მიგრაცია ძირითადად მოიცავს კრაზანაჭამიას და ჩვეულებრივ კაკანას. ორივე მათგანის რაოდენობა ყოველდღიურად აღწევს 60,000-80,000 ცალ-ცალკე.

პროფესიონალი ბერდვორეების გარდა, აქ მოხალისეებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვებასა და მათ დათვლაში.

სოფელი შუამთა ეკოტურისტებს აუცილებლად დაანტერესებს. ეს ადგილი საუკეთესოა სემონის პირველ ნახევარში (15 სექტემბრის შემდეგ), როცა ხდება არწივებისა და კაკანების უზარმაზარი გუნდების გადაფრენა. დაკვირვების

ადგილთან არის კლდოვანი შვერილი, სადაც ჩიტები ჩვეულებრივ იკრიბებიან, რათა აფრენისას დააკვირდნენ ჰაერის ნაკადის სიმძლავრეს. ეს ადგილი საოცრად მიმზიდველია ტურისტებისათვის, აქ ნამდვილად დატკბებით შესანიშნავი სანახაობით. გარდა ფრინველებზე დაკვირვებისა, ეკოტურიტებს შეუძლიათ სოფელ შუამთის დაკვირვების ადგილიდან სხვადასხვა ბილიკით მტირალას ეროვნულ პარკში გადასვლა.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ბრაკონიერების უკანონო ნადირობა, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის გადამფრენ ფრინველებს. მათი დაცვის მიზნით სახელმწიფოებმა რამოდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. მათ შორისაა კონვენცია ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის შესახებ მთელს მსოფლიოში,



ამ შეთანხმებით რომელსაც ხელი მოეწერა ირანის ქალაქ რამსარში 1971 წელს, რომლითაც სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება მათ ტერიტორიაზე არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის შესახებ, ტერიტორიები სადაც გადამფრენი ფრინველები ისვენებენ და იზამთრებენ. საქართველოში საერთაშორისო მნიშვნელოვანობის ჭარბტენიანი ტერიტორიებია კოლხეთის ეროვნული პარკი და ქობულეთის დაცული ტერიტორიები. 1995 წელს სახელმწიფოებმა კიდევ ერთ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ეს გახლავთ ხელშეკრულება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ. ხელშეკრულების მიზანია ისეთი ფრინველების დაცვა რომლებიც დამოკიდებული არიან ჭარბტენიან ადგილებზე ასეთი ადგილების შენარჩუნება სამიგრაციო გზებზე მდებარე ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ფრინველების გადაადგილების შესასწავლად იყენებენ დარგოლვას. სხვადასხვა

სახეობის ფრინველს გააჩნია თავისი ზომის რგოლი, რომელზეც დატანილია ინდივიდუალური წარწერა. მსგავსი მონაცემები თავს იყრის საერთო მონაცემთა ბაზაში, რომელსაც ფლობს სპეციალური ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებულნი არიან დარგოლვის ცენტრები. აღნიშნული სისტემა მნიშვნელოვანია



ფრინველებზე დაკვირვებისთვის, თუ რა მანძილზე გადაადგილდებიან, რომელ ქვეყნებში ხდება მათი დაფიქსირება, რა მდგომარეობაში არიან და ა.შ.

ფრინველთა გუნდი დაფრინავს V ფორმის მოყვანილობით, ყველა წინა ფრინველი ჭრის გზას უკანა ფრინველისთვის და უადვილებს ფრენას, წინა ფრინველი პერიოდულად იცვლება და მის ადგილს სხვა იკავებს სხვა.

დღეში შეუძლიათ რამოდენიმე ასეული კილომეტრის გავლა, მანძილი ინდივიდუალურად სახეობების მიხედვით განსხვავდება. ბევრ სახეობას 100 კმ საათი სიჩქარით შეუძლია ფრენა. ფრინველებს ჩრდილოეთში იზიდავთ ზაფხულისგრძელი დღეები. ამის გამო ფრინველს აქვს უფრო მეტი დრობარტყების გამოსაკვებად. ხშირია შემთხვევები, როცა ფრინველები იკარგებიან, ასეთებს ქარწალებულებს უწოდებენ. უკეანის თავზე გადაფრენისას ფრინველები ხშირად







ფრინველზე დაკვირვების მარშრუტი


მარშრუტის ტიპი: საფეხმავლო
 სიგრძე: 3,5 კმ
 ხანგრძლივობა: 2,5 სთ
 სირთულე: საშუალო
 მანძილი ბათუმიდან: 18 კმ
 სიმაღლე ზღვის დონიდან: საწყისი - 21 მ,
 საბოლოო - 400 მ
 ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა: სრულად

მარშრუტის მთავარ ღირსშესანიშნაობას საყდრის მთიდან ფრინველებზე დაკვირვება წარმოადგენს. ამ ადგილიდან ხშირად შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება დაინახოთ სხვადასხვა გადამფრენი ფრინველის რამდენიმე სახეობა. ხოლო თუ ბინოკლით იქნებით შეიარაღებული, შესაძლოა მათ უფრო დეტალურად გაეცნოთ.
















მარშრუტი იწყება სოფ. შუამთის გადასახვევიდან და სასოფლო გრუნტის გზის აღმართს მიუყვება. აღსანიშნავია, რომ მარშრუტის საბოლოო წერტილამდე გზა დამარკულია შემდეგი სახის ნიშნულით - „ფრინველებზე დაკვირვება“. გრუნტის გზის დასასრულს მარშრუტი საცალფეხო ბილიკს მიუყვება და საყდრის მთასთან სრულდება. აქ განლაგებულია პლატფორმა საიდანაც შესაძლებელია ფრინველებზე დაკვირვება. ამ ადგილიდან იშლება ულამაზესი ხედი, ერთის მხრივ, შავ ზღვაზე და მეორე მხრივ, ხეობაზე, სადაც ზღვიდან გადამფრენი ფრინველები შემოდიან.




აჭარის ა. რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2014
www.gobatumi.com



პირობითი აღნიშვნები

-  ეკლესია/მონასტერი
-  საინფორმაციო ცენტრი
-  ბანკომატი
-  ციხე-სიმაგრე
-  სასტუმრო
-  ბანკი
-  მუზეუმი
-  სასტუმრო სახლი
-  გაზგასამართი
-  სინაგოგა
-  სამედიცინო ცენტრი
-  ვიზიტორთა ცენტრი
-  მეჩეთი
-  პოლიცია
-  საბაჟო



- | | | | | |
|----------------|------------------------|------------------|------------------|------------------------|
| პორტი | რესტორანი | წყარო | კურორტი | ქობი |
| გადასახედი | სოფლად ტურიზმი | თხილმურზე სრიალი | საბაგირო სადგური | ფრინველებზე დაკვირვება |
| ისტორიული ხიდი | ღვინის ტურიზმი | კანიონი | გამოქვაბული | |
| საკარვე ადგილი | ფრინველებზე დაკვირვება | ჩანჩქერი | საფლავი | |
| საპიკნიკე | ბუნების ძეგლი | აეროპორტი | ადგილის ნიშნული | |





მტაცებელ ფრინველთა სარკვევი

ჩია არწივი

Hieraaetus pennatus

სს: 43-53 სმ. ფშ: 100-121 სმ. წ. 510-1250 გ.

დედალი დიდია მამალზე. გალო შემოსილია თითებამდე. მხარზე აქვს პატარა თეთრი ლაქა. მხრები სხეულის დანარჩენ ნაწილთან შედარებით ღია ფერისაა. მეორადი მომქნევების მოსაზღვრე პირველადი მომქნევები ღია ფერისაა. კუდის ძირი მოთეთროა. გვხვდება ორი რასა - ნათელი და მუქი. ნათელი რასის შავი მომქნევები მკვეთრად ემიჯნებიან ფრთის დანარჩენ თეთრ ნაწილს; კუდი ბოლოვდება ფართო მუქი კიდით. ზრდასრული: გუგა არის მუქი ყვითელი, მოყავისფრო ან მოწითალო-ყავისფერი. წლეგანდულა: გუგა მუქი ყავისფერია. მსგავსი სახეობები: ძერა, ჭაობის ძელქორი და ჩვეულებრივი კაკაჩა. ქცევა: გვხვდება ერთეულებად. ბუდობს ცალკეულ წყვილებად. ადგილსამყოფელო: ტყით დაფარული კლდოვანი გორაკები და მზიანი ხეობები. ერიდება ვაკე ბარს და ალპურ თოვლიან ადგილებს. საკვები: ფრინველები, მცირე ზომის ძუძუმწოვრები, ქვეწარმავლები, მწერები. ბუდე: მწვანე მცენარეულობით ამოფენილი ტოტების გროვა ხეზე. კვერცხები: 2,55 მმ. კვერცხების დება: აპრილის ბოლო. კრუხობა: 36-38 დღე. მართვეს ბუდეში ყოფნის პერიოდი: 50-55 დღე. გამრავლების დაწყების ასაკი: უცნობია.

მცირე მყივანი არწივი

Aquila pomarina pomarina

სს: 60-65 სმ. ფშ. 134-159 სმ. წ: 1067-2160გ.

რიცხოვნობა: 50-70 წყვილი

გალო შემოსილია თითებამდე. ფრთის კუთხის ლაქაში არის 2 ვიწრო მოთეთრო რკალი. მომქნევები ფრთის დანარჩენ ნაწილთან შედარებით უფრო მუქია. ბრდასრული: მხარე ზურგთან შედარებით ღია ფერისაა. გუგა არის მოყვითალო-ყავისფერი ან ყვითელი. წლევანდულა: კეფაზე ღია ფერის ლაქაა, პატარა თეთრი ლაქები ქმნიან 1-2 თეთრ რიგს ფრთების ზედა მხარეზე. კუდისა და ფრთების უკანა კიდეები ღია ფერისაა. გუგა მუქი ყავისფერია. მსგავსი სახეობები: დიდი მყივანი არწივისგან განსხვავდება უფრო მუქი მომქნევებით ფრთის დანარჩენ ნაწილთან შედარებით და ფრთის კუთხის ლაქის ორი მოთეთრო რკალით. წლევანდულა კი - ზურგის მხარეზე ნაკლებად გამოკვეთილი მოთეთრო ლაქებითა და ღია ფერის ლაქით კეფაზე. ქცევა: სემონური გადაფრენის დროს გვხვდება გუნდებად სხვა მტაცებლებთან ერთად. ადგილსამყოფელო: ბარის და მთისწინეთის ტყეები. საკვები: მცირე ზომის ცხოველები. ბუდე: ტოტების დიდი გროვა ხეზე. კვერცხები: 2,64 მმ. კვერცხების დება: აპრილის მეორე ნახევარი. კრუხობა: 38-41 დღე. მართვეს ბუდეში ყოფნის პერიოდი: 51-58 დღე. გამრავლების დაწყების ასაკი: 3-4 წელი.





ძერა

Milvus migrans migrans

სს: 55-60 სმ. ფშ: 160-180 სმ. წ: 630-940 გ.

რიცხოვნობა: 100-300 წყვილი

ზომით დედალი 50%-ით დიდია მამალზე. კუდი ამოკვეთილია. პირველადი მომქნევების ნაწილი ღია ფერისაა. ბრდასრული: მხარი ღია ფერისაა. გუგა არის მკრთალი ყვითელი, ნაცრისფერი ან ჟანგისფერი. წლევანდულა: მუქი მოკლე ღერძულა ხაზები მუცლის მხარეზე მკვეთრად გამოხატული. გუგა მონაცრისფრო-ყავისფერია. მსგავსი სახეობები: ჩია არწივისგან განსხვავდება ვიწრო ფრთებითა და ამოკვეთილი კუდით. ჭაობის ძელქორისგან - ფრთის არაერთფეროვანი ზედა მხრით, ფრთის მუქი წინა კიდი და ამოკვეთილი კუდით. ქცევა: ფრენისას ხშირად ამოძრავებს და აბრუნებს კუდს. ხშირად გვხვდება ნაგავსაყრელებზე გუნდებად. ბუდობს ცალკეულ წყვილებად, თუმცა ზოგჯერ ბუდეებს შორის მანძილი 100-150 მეტრია. ადგილსამყოფელო: ფართოფოთლოვანი ტყეები მინდვრებისა და ტბების მახლობლად ბარში. ჭალები. გვხვდება სხვა ადგილებშიც სეზონური გადაფრენისას და ზამთრობისას. საკვები: მცირე ზომის ცხოველები, მწერები და მძორი (ლემი). ბუდე: ნაგვითა და ფოთლებით შევსებული ტოტების გროვა ფართოფოთლოვან ხეზე. კვერცხები: 2-3,54 მმ. კვერცხების დება: აპრილის მეორე ნახევარი. კრუხობა: 26-38 დღე. მართვეს ბუდეში ყოფნის პერიოდი: 42 დღე. გამრავლების დაწყების ასაკი: უცნობია.

ჭაობის ძელქორი (ჭაობის ბოლობეჭედა)

Circus aeruginosus aeruginosus

სს. 48-56 სმ. ფშ. 115-130 სმ. წ: 320-1270 გ.

რიცხოვნობა: 80-100 წყვილი

გალო არაა შემოსილი. ბრდასრული მამალი: მოწითალო-ჟანგისფერია მკრთალი ნაცრისფერი მომქნევეებითა და ფრთის შავი წვერებით. გუგა ყვითელია. ბრდასრული დედალი: ზომით 5-10 %-ით დიდია მამალზე. სხეული მურაა. თხემი, ყელი და ფრთის წინა კიდე მოთეთროა. გუგა იგივე ფერისაა რაც მამლის. წლევეანდულა: წააგავს დედალს, მაგრამ უფრო მუქია. გუგა მუქი ყავისფერია. მსგავსი სახეობები: ძერისაგან და ჩია არწივისგან განსხვავებით, დედალს აქვს მთლიანად მუქი მომქნევეები და არ აქვს განიერი ღია ფერის ბოლი ფრთის ზედა მხარეზე. ქცევა: დაფრინავს ნელა, დაბალ სიმაღლეზე. მსხვერპლს თავს ესხმის ახლოდან. ბუდობს როგორც ცალკეულ წყვილებად ისე არამყარ კოლონიებად. მამალი არის მონოგამიურიც და ბიგამიურიც. ადგილსამყოფელო: ჭაობები, ლერწმიანი ტბები და წყალსაცავები. სეზონური გადაფრენისას გვხვდება სხვა ადგილებიც. საკვები: მცირე ზომის ცხოველები. ბუდე: ლერწმის გროვა ჭაობის მცენარეულობაში. კვერცხები: 3-8,50 მმ. კვერცხების დება: აპრილის მეორე ნახევარი. კრუხობა: 31-38 დღე. მართვეს ბუდეში ყოფნის პერიოდი: 35-40 დღე. გამრავლების დაწყების ასაკი: 2-3 წელი.





ველის ძელქორი (ველის ბოლობეჭედა)

Circus macrorus

სს: 40-48 სმ. ფშ: 95-120 სმ. წ: 235-604 გ.

გალო არაა შემოსილი. ზრდასრული მამალი: ზურგის მხარე ნაცრისფერია, მუცლის მხარე კი მოთეთროა. პატარა მოგრძო მოშავო ლაქაა პირველად მომქნევეებზე. გუგა ყვითელია. ზრდასრული დედალი: ზომით 10%-ით დიდია მამალზე. სხეული მოყვითალო-ჟანგისფერია. სახის მოშავო რკალის (ლოყის) ირგვლივ განიერი მკრთალი არეა. კარგი განათების პირობებში, ფრთის კუთხესთან პირველადი მომქნევეები ქმნიან მოთეთრო განიერ რკალს. გუგა იგივე ფერისაა რაც მამლის. წლეგანდულა: ზურგის მხარე მოსტაფილოსფრო-ჟანგისფერია, მუცლის მხარე კი უზოლოა და ერთფეროვნად სტაფილოსფერი. ლოყა-ყელის მოთეთრო ზოლი აშკარად ჩანს. გუგა ნაცრისფერია. მსგავსი სახეობები: დედალი მდელოს ძელქორისგან განსხვავდება ლოყის ირგვლივ და ფრთის ქვედა მხარეზე არსებული განიერი მოთეთრო რკალებით. წლეგანდულა კი უფრო მკრთალი სტაფილოსფერია ვიდრე წლეგანდულა მდელოს ძელქორი. ქცევა: დაფრინავს ნელა, დაბალ სიმაღლეზე. მსხვერპლს თავს ესხმის ახლოდან. ადგილსამყოფელო: ბარის სტეპები და მინდვრები. სემონური გადაფრენისას გვხვდება სხვა ადგილებშიც. საკვები: მცირე ზომის ძუძუმწოვრები და ფრინველები, ქვეწარმავლები.



მდელოს ძელქორი (მდელოს ბოლობეჭედა)

Circus pygargus

სს: 43-47 სმ. ფშ: 105-120 სმ. წ: 227-445 გ.

რიცხოვნობა: 20-100 წყვილი

გალო არაა შემოსილი. ბრდასრული მამალი: მეორად მომქნევებზე გადის ერთი შავი ზოლი. მუცლის გვერდებზე და ფრთის ქვედა მხარეზე აქვს მოკლე მოწითალო-ჟანგისფერი ლაქები. გუგა ყვითელია. ბრდასრული დედალი: ზომით უმნიშვნელოდ დიდია მამალზე. სხეული მოყვითალო-ჟანგისფერია. თვალის ირგვლივ არსებული ზედა და ქვედა თეთრი რკალები შესამჩნევად განიერია. გუგა ყვითელია. წლევიანდულა: ზურგის მხარე მოსტაფილოსფრო-ჟანგისფერია, მუცლის მხარე კი უზოლოა და ერთფეროვნად მუქი სტაფილოსფერია. გუგა ყავისფერია. მსგავსი სახეობები: ველისა და მინდვრის ძელქორები. ქცევა: დაფრინავს ნელა, დაბალ სიმაღლეზე. მსხვერპლს თავს ესხმის ახლოდან. ბუდობს როგორც ცალკეულ წყვილებად, ისე არამყარ კოლონიებად. მამალი არის მონოგამიურიც და პოლიგამიურიც. ადგილსაყოფელო: მთის სტეპები ტაობების მახლობლად. ვაკე სუბალპური მდელოები. ვრცელი მდელოები. საკვები: მცირე ზომის ცხოველები: ბუდე: ბალახისა და წვრილი ტოტების გროვა მიწაზე დაბალი სიმაღლის მცენარეულობაში. კვერცხები: 4-5, 42 მმ. კვერცხების დება: მაისის შუა რიცხვები. კრუხობა: 27-40 დღე. მართვეს ბუდეში ყოფნის პერიოდი: 32-42 დღე.

20 გამრავლების დაწყების ასაკი: 1-2 წელი.

ჩვეულებრივი კაკაჩა

Buteo buteo menetriesi, B.b. *vulpinus*

სს: 51-57 სმ. ფშ: 113-128 სმ. წ: 427-1364 გ.

რიცხოვნობა: 900-1000 წყვილი

გალო არაა შემოსილი. მუცელზე და კუდზე აქვს მოკლე განივი ლაქები. *Vulpinus*-ის მთლიანი მუცლის მხარე კუდიანად მოწითალო-ჟანგისფერია (გვხვდება *vulpinus*-ის მუქი რასაც). ფრთის კუთხეში აქვს მუქი ლაქა. გუგა არის ყავისფერი, მოყავისფრო-ყვითელი ან მოყავისფრო-ნაცრისფერი. ზრდასრული: მუქი არშიები გადის კუდზე და ფრთის უკანა კიდეზე მეორადი მომქნევების მიდამოში. წლევანდულა: არშიები არაქვს. მსგავსის სახეობები: ველის კაკაჩას განგანსხვავდება სხეულთან შედარებით მოკლე ფრთებითა და კუდით. ჩია არწივისგან კი - ფრთის კუთხის ლაქითა და ფრთის უკანა კიდის მუქი არშიით. ქცევა: ხშირად მის ბოძებზე და სადენებზე. სემონური გადაფრენის დროს დვხვდება დიდი რაოდენობით. ბუდობს ცალკეულ წყვილებად. ადგილსამყოფელო: ტყეები. მინდვრები, ველები და ჭაობიანი ადგილები. საკვები: მღრნელები, სხვა მცირე ზომის ცხოველები და მწერები. ბუდე: ტოტების გროვა ხეზე ან იშვიათად ხეებიან კლდეზე. კვერცხები: 2-4,55 მმ. კვერცხების დება: აპრილის პირველი ნახევარი. კრუხობა: 33-38 დღე. მართვეს ბუდეში ყოფნის პერიოდი: 50-55 დღე. გამრავლების დაწყების ასაკი: 2-3 წელი.



კრაზანაჭამია (ირაო)

Pernis apivorus

სს: 52-60 სმ. ფშ: 135-150 სმ. წ: 440-1050 გ.

რიცხოვნობა: 200-600 წყვილი.

კუდზე აქვს არშია და ორი მუქი ზოლი. ფრთის ქვედა მხარეზე მომქნევების ძირთან გადის მკვეთრი ზოლები. ზრდასრული მამალი: თავი რუხია. გუგა არის სტაფილოსფერი ან წითელი. ზრდასრული დედალი: თავი ჟანგისფერია. გუგა ყვითელია. წლევანდულა: ზურგის მხარე ერთფეროვნად ჟანგისფერია. კუდის ზოლები და არშია უფრო ბუნდრია. გუგა ყავისფერი ან მონაცრისფრო-ყავისფერია. მსგავსი სახეობები: ჩვეულებრივი კაკაჩასგან განსხვავდება პატარა თავით, ვიწრო კისრით, გრძელი ვიწრო ფრთებითა და გრძელი კუდით, აგრეთვე ფრენის ტიპის განივი ჭრილით. ქცევა: გამრავლების პერიოდში ეწევა მალულ ცხოვრებას. გადაფრენის დროს კი გვხვდება დიდი რაოდენობით, ხშირად კაკლაჩებთან ერთად. ბუდობს ცალკეულ წყვილებად. ადგილსამყოფელო: მაღალტანიანი ტყეები. გვხვდება სხვა ადგილებშიც სეზონური გადაფრენისას. საკვები: ძირითადად კრაზანების, კელებისა და ბაზების ლარვები, ხანდახან სხვა მცირე ზომის ცხოველები. ლარვებს მოიპოვებს მწერების ბუდეების გათხრით. ბუდე: ფოთლებნარევი ტოტების გროვა ხეზე. კვერცხები: 2,52 მმ. კვერცხების დება: მაისის შუა რიცხვები. კრუხობა: 30-37 დღე. მართვეს ბუდეში ყოფნის პერიოდი: 40-44 დღე. გამრავლების დაწყების ასაკი: უცნობია.



ქორი

Accipiter gentilis marginatus

სს: 48-62 სმ. ფშ: 90-120 სმ. წ: 600-1100 გ.

რიცხოვნობა: 230-350 წყვილი

გალო არაა შემოსილი. აქვს მკვეთრად გამოხატული თეთრი „წარბი“. მეორადი მომქნევების მიდამოში ფრთა შესამჩნევად განიერია. მომრგვალებული კუდი გრძელია და აქვს რამდენიმე განივი ზოლი. ზრდასრული: მამალი დედალთან შედარებით შესამჩნევად მომცროა. ზურგის მხარე მოლურჯოა. თხემი და ლოყა უფრო მუქი აქვს ვიდრე დედალს. გუგა არის კაშკაშა ყვითელი, მოსტაფილოსფერო-ყვითელი ან მოსტაფილოსფერო-წითელი. დედლის ზურგის მხარე მურაა. წლევანდულა: სხეული ჟანგისფერია. მოყვითალო-ჟანგისფერი მუცლის მხარე დაფარულია ღერძულა ლაქებით. „წარბი“ მოყვითალოა. გუგა მკრთალი მომწვანო-ნაცრისფერია. მსგავსი სახეობები: მიმინოსგან და ქორცქვიტისგან განსხვავდება დიდი ზომით და მკვეთრად გამოხატული თეთრი წარბით. ქცევა: დაფრინავს ფრთების ნელი ქნევისა და ლივლივის ხშირი მონაცვლეობით. ბუდობს ცალკეულ წყვილებად. ადგილსამყოფელო: ხშირი ტყეები. ზამთრობისას გვხვდება ტყე-პარკებისა და ტყის ზოლების მახლობლად. საკვები: მცირე და საშუალო ზომის ცხოველები. ბუდე: მწვანე მცენარეულობით ამოფენილი ტოტების გროვა ხეზე. კვერცხები: 2-4,59 მმ. კვერცხების დება: აპრილის შუა რიცხვები. კრუხობა: 35-38 დღე. მართვეს ბუდეში ყოფნის პერიოდი: 35-42 დღე. გამრავლების ასაკი: 2-3 წელი.



